ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 53 მარტი 11, შაბათი · 1889 · მარტი 11. შაბათი № 53


**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 · სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1889


**ქართული თეატრი**
შაბათს, 11 მარტს
არტისტი
კ. ყიფიანი და ზ. ბალანჩივაძე
გაჰმართავენ
წარმოდგენას და კონცერტს

I

## მასკარადი

დრამა 4 სურათად, თხზ. ლერმონტოვისა

II

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ-ნი საფაროვისა, ამიროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, აველიშვილისა; ბბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, გუნია, რატილი, ბალანჩივაძე, ბურჯანაძე და ხორო.

**ქართული რომანსები და სიმღერა.**

ორკესტრი სხვათა შორის დაუკრავს ზ. ბალანჩივაძის მიერ შედგენილს ახალს

**პოპურის.**

---

**ქართული კონცერტი**
კვირას, 12 მარტს
ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო
გაჰმართავს სრულიად
ახალ სიმღერების

## კონცერტს

ბ-ნ ა. ი. ზერიძის ლოტბარობით.

ამ კონცერტში ერთს განყოფილებას შეასრულებს ბ-ნ აღნიაშვილის მიერვე ახლად შედგენილი კეთილშობილ ქალთა ხორო, რომელიც შესდგება 18 ქართულად ჩაცმულ-დახურულ ქართველ მომღერალ-ქალთაგან.

ანტრაქტებში მხატვარი ბ-ნი აღფრედო 15 წამის განმავლობაში დაჰხატავს შეისაყს საზოგადოების თვალ წინ ზეთის ფერადებით.

---

**გამგე კომიტეტი** „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა **შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის**" ამით აცხადებს, რომ ვინაიდგან საგანგებო კრება ამა საზოგადოებისა არ შესდგა ამ 1889 წლის 26 თებერვალს, ხელ-მეორედ ჰნიშნავს კრებას ამ წლის 12 მარტს, დილის 11 საათზედ და სთხოვს წესდების ძალით (შენიშვნა § 7) წევრთ დამფუძნებელთ ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკისას და სხვათა საპატიო და ნამდვილ წევრთა ამა საზოგადოებისათა მობრძანდნენ აღნიშნულს დროს თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

განსახილველი საგანი არის:

გამგე კომიტეტის მოხსენება, თუ როგორ და რა საშვალებით მოუპოვონ სკოლას საკუთარი და შესაფერი სახლი. (2—2)

---

ტფილისი, 10 მარტი

ამ რამდენისამე წლის განმავლობაში კავკასიის ვენახები გაანადგურა სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ. ამიერ და იმიერ კავკასიაში თავი იჩინა მილდიუმ და დიდი ზარალიც მისცა ვენახის პატრონებს და დიდი შიშიც დასჭბადა. ყველას აზრად მოუვიდა, რომ შესაძლოა რამდენსამე წელს ვენახი სრულიად განადგურდეს და მით თავი და თავი სახსარი ცხოვრებისა ხელიდგან გამოგვეცალოსო. ამ გარემოებას ყურადღება აღხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ და მწერლობამ და ამათ გაავრცელეს ხალხში ცოტაოდენი ცნობა მილდიუსა და იმის წამლობის შესახებ. საცა არის ვაზის წამლობასაც შეუდგებიან და იმედია, რომ ცოტად თუ ბევრად ეშველება ჩვენს ვენახებს. მართალია, ეს ფრიად კეთილი საქმეა, მაგრამ ჩვენი მამულის პატრონები და მეურნენი მარტო წამლობას არ უნდა დასჯერდნენ. საქმეც ის არის, რომ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ჩნდება სხვა-და-სხვა მცენარეზე და ვინ იცის მერმისში რა მოელის ჩვენს მეურნეობას. ვსთქვათ, რომ მშველელი და დამრიგებელი ეყოლებათ, მაგრამ სხვისის ცდითა და მეთაურობით ყოველთვის ხომ ვერ ვიხეირებთ.

ჩვენის მეურნეობის დღევანდელმა ყოფამ თვალსაჩინოდ უჩვენა ყველას, რომ თვით მემამულეთა და მებაღეთ საშუალება არა აქვთ როგორც საჭიროა, ისე მოუარონ მამულებს. ყველამ ცხადად დაინახა, რომ მამა-პაპეული ცოდნა დღეს საკმარისი არ არის, რომ საჭიროა სამეურნეო სწავლა-ცოდნამ ფეხი მოიკიდოს ჩვენში, თუ გვინდა, რომ მიწა-წყლით ვიკვებებოდეთ. იმედია, დღეს მაინც დარწმუნდნენ, რომ კავკასიისათვის საჭიროა სამეურნეო და სამრეწველო სასწავლებლები.

მართლაც განა გასაკვირველი არ არის, რომ ისეთს მდიდარს ქვეყანაში, როგორიც კავკასიაა, არც ერთი საშუალო და მაღალი სამეურნეო სასწავლებელი არ არის. ამდენს ხანს ეგეთი მდიდარი და უხვი ქვეყანა მხოლოდ მამა-პაპეულის ცოდნით გამოდის და რა საკვირველია, რომ ერი ამ სწავლა-ცოდნით ვერ გაუძლვეს ქვეყნის სიმდიდრესა და სიუხვეს. ჩვენი ახალგაზდობა ყოველ გვარს სასწავლებელს ეტანება და ზოგჯერ ისეთს საგანს ჰკიდებს ხელს, რომ ლუკმა-პურის შოვნაც უჭირს, და სამეურნეო ცოდნის უქონლობის გამო იძულებულია მიწა-წყალს თავი დაანებოს. ამიტომაც არის, რომ ზოგიერთ ნასწავლ კაცთ მამულდედული ეღუპებათ და მამულს თუ ვინმე უძლვება და უვლის, ისევ უსწავლელნი. ერთის სიტყვით ჩვენის მეურნეობის დღევანდელმა ყოფამ უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა საუკეთესო სახსარია ქვეყნის ეკონომიურის ყოფა-მდგომარეობის გასაძლოლად.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** 9 ამ თვეისას ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება თელავში შეუდგა კნეინა ევგენია ჯორჯაძის საქმის გარჩევას. კნეინა ჯორჯაძისას ისა ჰბრალდება, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1885 წელს, 23 მაისს, სადგომში მიუხდა თელავის მაზრის უფროსს თავ. ნიკოლოოზ ზაალის ძეს ჩოლაყაშვილს და რევოლვერი ესროლა. ამ გვარის საქციელის მიზეზი ისა ყოფილა, რომ კნეინას თავისის ქმრის თავადის ჯორჯაძის სამსახურიდგან დათხოვნა დაუბრალებია თავად ჩოლაყაშვილის ხრიკებისათვის. ბრალდებულს ევგენია ჯორჯაძისას თავისი თავი დამნაშავედ არ უცვნია.

*** 7 მარტს ცხინვალიდამ მომავლებულა დილიჟანი გორისაკენ. დილიჟანში მსხდარა თერთმეტი სული მგზავრი. მათ შორის ყოფილან მომრიგებელი-მოსამართლე ცხინვალისა, იქაური მღვდელი ალ. ნასიძე, ოთხი ურია და სხვანი. ამ დროს ლიახვი ძრიელ მოდიდებული ყოფილა, მაგრამ მეეტლეს მაინც შეუბედნია ლიახვში შესვლა. წყალს მოუტაცნია დილიჟანი, დაურჩვია ორი ცხენი. მგზავრებსაც არ ასცდებოდათ დიდი განსაცდელი, თუ რომ ტყვიავის მცხოვრებთ არ შეესწროთ თვალი და არ მიჰშველებოდნენ. ხალხმა მგზავრები მაღლობ ადგილზე გაზიდა ზურგით, შემდეგ მოიტანა ურემი და ასე გადაარჩინა შეუბრალებელს მდინარეს.

*** სოფ. **მარტყოფი:** შეიდს ამ თთვისას, გათენებისას, საშინელი წყალი მოვარდა ჩვენს სოფელში. მდი-

---

## ფელეტონი

**ღარიბის სიმღერა**

ტიალო, სიღარიბეო,
გააზერაევბ ყველასა.
აღარსითა მაქვს სახსარი,
აღარსით ველი შველასა.
ბალღები დამიწიოკდა,
კაბა გაუცვდა ლელასა;
ვინ იტყვის წვნიანს საჭმელსა,
პურს ველარ ვშოვობ ხმელსასა!
შამამტირიან ბალღები,
გამამიწვდიან ხელსასა...
პური მოგვშივდა, მამაო,
სიტყვას მეტყვიან ძნელსასა.
ამის გამგონეს ცეცხლი მწვავს,
გული დამიწყებს ლევასა.
გაუსენია ყველანი
მჭადს და ყიავნა ხველასა.
მითომ-კი ვშრომობ მედგრადა,
ყელ-თავქვე ვკიდივ მუდამა...
არცა ვარ ცოდვის მოქმედი,
თვით კარგად უწყის უფალმა.
აბა, რა მივცე მახტაში,
რა მაქვს, რა მატიალია!?
ნეტავ იცოდეთ, როგორი
გულში მიბრუნავს ალია.
მიშველე, ჩვენო გამჩენო,
მიშველე, მომეც ძალია,
აკმარე ზეჩავს ჩემს თავსა,
ამდენი ცოდვა-ბრალია!
ისე გაივლის სთვლის ღამე
არ მოეიხუჭო თვალია;
ვფიქრობ რით, როგორ ვიხადო
მე მამობრივი ვალია.
მე ვერ ვიქურდებ, ვერ, ვერა,
გული არ მაძლევს ნებასა,
ვამბობ და ნუ გეგონებათ
თქვენგნით ველოდე ქებასა.
წაიღონ, ერთი ეგ-ღა მაქვს,
ერთი თანგირა ქობია.
მოვკვდები ნამუსიანად,
ესრე სიკვდილი სჯობია.
დაე, შვილებიც გამიწყდენ,
გასწყდენ როგორაც ვშობია.
მადლიც იმასა, ცოდვაცა,
ვინც წინ გამივლო ღობია.

ვაჟა-ფშაველა

---

**უცხოთა შორის**

აბეზარია ადამიანის ბუნება!—რა აზრი აქვს ჩვენს სიცოცხლეს?—საფრანგეთის ახალგაზდა მწერალი.—რისთვის სცხოვრობს ადამიანი ამ ქვეყნად?—ძნელია მარტოობა სულისა.—ასეთს ყოფნას არ-ყოფნა სჯობია!—სიყვარული სარწმუნოებაა.—ცოლის შერთვამ ადამიანი უცბად გამოცვალა.—ახალი, გამოუცდელი ბედნიერება.—იქნება ეს იყოს ცხოვრების საგანი?!

უცნაურია ადამიანის ბუნება: მუჭის ოდენა გულში ჰსურს მოათავსოს მთელი კაცობრიობა და ამ თავის გულის წადილზე მიანიჭოს ყველას საერთოდ და თითოს ცალკე სრული და შეურყეველი ბედნიერება; ჭკუით უნდა შესწვდეს თვით ცას და მოუწოდოს ანგელოზთ მშვიდობისა, ერთობისა და ბედნიერების დასამყარებლად ამ ქვეყანაზედ.

ჭკუა და გული ამას ეუბნება, ამის იმედებს აძლევს, მაგრამ ადამიანი გარშემო რომ იხედება, სულ სხვასა ჰხედავს. ჰხედავს უსამართლობას, ათასგვარს უბედურებას, ვაებას, ჰხედავს, რომ ერთი მეორეს მოსისხლე მტრად უხდება, ღონიერი უღონოს ჰჩაგრავს, ჰხედავს უსწორ-მასწორობას თანასწორობის მაგიერ, კამათმძულვარებას კაცს-მოყვარეობის მაგიერ, ჰხედავს ყველა ამას და იმედმხდილი, სასოწარკვეთილი, მოუსვენარი კითხულობს:

—მაშ რაღაა ადამიანის სიცოცხლე? რა აზრი აქვს მის ყოფნას ამ ქვეყნად? რად დაჰკანკალებს ადამიანი ამ წუთიერს ცხოვრებას? რად ებრძვის ხოლმე ისე სასტიკად, მედიდურად სიკვდილს, რომელიც ამ წუთი-სოფელს გვაშორებს?

უნებლიედ გაიტარებთ გულში ამ ფიქრებს, როდესაც ცხოვრებას ცოტადაც არის მაინც დაუკვირდებით, მაგრამ ვინ გვეტყვის, სად არის თავი და ბოლო ამ ფიქრებისა, რომელიც მხოლოდ გვიშფოთებს გულს, გვირღვევს მშვიდობას სულისას, ხშირად გვიწამლავს სიცოცხლეს? ვინ დაგვისახელებს, სად და რაში უნდა ვეძიოთ საგანი ჩვენის ცხოვრებისა?

ადამიანს სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა გვარად გადაუწყვეტია ეს საგანი, ხოლო აბეზარი, დაუდგრომელი ბუნება ადამიანისა დღესაც ვერ ისვენებს და ისევ კითხულობს:

—მართლა-და რისთვის სცხოვრობს ადამიანი ამ სოფლად?

ნუ თუ მარტო სატანჯველად? მაშინ ხომ სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარ ეღირებოდა: ტანჯვას ვერ გაიხდის ადამიანი ცხოვრების საგნად, ეს მისი ბუნების წინაალმდეგია.

მაშ რისთვის?—მოუსვენრად კითხულობს ადამიანი. აი რამდენი ხანია და გადაწყვეტილი პასუხი ვერ მიუცია თავის თავისთვის.

ასევე მოსდის საფრანგეთის ახალგაზდა მწერალს ედუარდ როს. როს ამ ახლო ხანში დაუწერია წიგნი, რომელიც სწორედ ამ საგანს შეეხება. ვრცელ და სამეცნიერო გამოკვლევას-კი არ გვიწერს ამ საგნის შესახებ,—არა, ავტორი ჰკითხავს თავისს თავს:—„რა აზრი აქვს ჩვენს სიცოცხლესაო?" — და ამის პასუხად მხოლოდ გვიხსნის თავისს გულს, გვახედებს შიგ, გვეუბნება, რა ტანჯვა და სიხარული გამოუვლია, გვიხატავს თავის თავ-გარდასავალს, გვატყობინებს თავისს აზრს, ფიქრს, შეხედულობას.

თუმცა ყველა ეს სრული და გარდაწყვეტილი პასუხი არ არის ზემოდ დასმულ საკითხავისა, მაგრამ მაინც იმდენად საყურადღებოა, რომ გვსურს მკითხველს გავაცნოთ, და იმედი გვაქვს, ამისთვის არავინ დაგვემდურება.

**

ავტორი ყველას ეჭვის თვალით უყურებს, მტკიცედ არა სწამს-რა. ამასთანავე ისიც ვერ გაუბედია, რომ რაიმე სრულიად, გარდაწყვეტილად უარ-ჰყოს.

ჩვენი დედამიწა, ეს ჩვენი წუთიერი საცხოვრებელი, საძაგელ და საზიზღარ ქვეყნად მიაჩნია. ჰკვირობს და ვერ მიმხვდარა, ვისთვის ან რისთვის არის გაჩენილი ეს წუთის საცხოვრებელი, ესეთი უხამსი, უსულო, ეს ქვეყანა, სადაც ბედნიერებას ვერავინ მისწვდომია და უბედურებას-კი ვერავინ წასულია. აგრეთვე ვერ მიმხვდარა ავტორი, ან თითონ ადამიანი რისთვის სცხოვრობს ამ ქვეყნად.

ეს ფიქრები განუშორებლად სდევნიან და მოსვენებას არ აძლევენ ჩვენს ავტორს. ეძებს, უნდა რითიმე დაიმშვიდოს თავისი აღშფოთებული გული, მაგრამ ვერა უპოვნია-რა. სიყმაწვილეში ხელ-მოსამაგრებელი და გულის დასამყარებელი არა ჩაუნერგიათ-რა ამისათვის. როგორ და რა მიზეზით მოხდა ეს, ავტორი არას გვეუბნება.

რომ ბუნებას ეკითხება, ბუნებას შესჩივის თავისის გულის ტკივილს, იქ სცდილობს ამოიკითხოს ის, რაც ასე სტანჯავს,—ბუნება ხან მხიარულობს, ხან იქუფუშება, და ადამიანის ტან-

ნარე ჩამორბის შიგ შუა სოფელში და შეჰკრა ნაპირები, ასე რომ მისვლა-მოსვლაც შეწყდა. ამიტომაც ამ დღეს აქაურის სკოლის მოწაფენიც სწავლას მოაცდინა. საღამო ჟამზედ მდინარე ისევ ჩამოჯდა.

*** სოფ. საჭილაო (სენაკის მაზრა): შვიდს ამ თთვისას, ღამით, ჩვენში ერთი დიდი უბედურება დატრიალდა. ვილაც ბოროტმა კაკაცებმა ამ წუთისოფელს გამოასალმეს ერთი ახალგაზდა აზნაური ივანე ვახტანგის ძე ასათიანი. როგორც ეტყობა, მკვლელებს საბრალო ყმაწვილი წალდით მოუკლავთ. ჭრილობა კისერში აქვს. განსვენებული ფულიანი კაცი იყო და განმარტოებით სცხოვრობდა. ახლო-მახლო მეზობლები არა ჰყავდა. წაიღეს თუ არა მკვლელებმა ფული და ვექსილები, ჯერ არავინ იცის, ხოლო ოქროს საათისა და ქამარ-ხანჯალისთვის-კი ხელი არ უხლიათ.

*** პეტერბურგში თევზეულობის გამოფენა იყო და ამ გამოფენაზე კავკასიელ მეთევზეთაც გაუგზავნიათ აქაურის თევზეულობის ნიმუშები. ეხლა გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია პეტერბურგიდგან მოხელეებისაგან: კავკასიელი განყოფილება თევზეულობისა იმდენად უფერული და მცირე იყო, რომ სჯობდა სრულიად არა გამოეგზავნათ-რაო.

*** სომხურს გაზეთს „ნორ-დარს“ სწერენ შუშიდგან, რომ იქ 2 ამ თთვისას, დილის ათს საათსა და ნახევარზე, მიწის-ძვრა ყოფილა, და ამის გამო ზოგს სახლში კედლები დაბზარულა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურეთა შვილთათვის ტფილისში დაარსდა ორ კლასიანი სასწავლებელი. ამ კეთილის საქმის აზრი და მეცადინეობა თუ მე მეკუთვნის, იმის შესრულებაში სხვებმაც არა მცირედი შემწეობა აღმომიჩინეს და ამით მომცეს შეძლება ამეცილებინა თავიდგან სხვა-და-სხვა დაბრკოლება, რომელიც ზოგიერთა მეოხებით წინ გადამეღობა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა იმათ, ვინც ასე თუ ისე ხელი შეუწყეს ხსენებულ სასწავლებლის დაარსებას; ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველს ბ-ნს პრესნიაკოვს და იმის მეუღლეს მარიამ პაფნუტის ასულს, რომელთაც თავდა პირველად საჭირო ხარჯის გასაწევად ოცი თუმანი შემოსწირეს სკოლას. ქ-ნი მარიამ პრესნიაკოვისა სასწავლებლის მზრუნველად ითვლება. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ბ-ნნი გორნიჩი და ტფილისის სადგურის უფროსი გუტკოვსკი, რომელთაც სკოლას უსასყიდლოდ დაუთმეს ტფილისის სადგურის მახლობლად შესაფერი სახლი; ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარელისა, რომელმაც აღგვთქვა უსასყიდლოდ მოსწავლე ქალების ხელ-საქმის სწავლება. ზემოხსენებულ გვამთა შემწეობით წარსულის თთვის 7-ს დაიწყო სწავლა სასწავლებელში, რომელშიაც დღეს 42 მოსწავლეა, მათ შორის 6 ქალი და 36 ვაჟი.

სრული იმედი გვაქვს რომ ზემოხსენებულნი გვამნი, თუ რკინის გზის სხვა მოხელენი, შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ შემწეობასა და დახმარებას და ამითი ხელს შეუწყობენ სასწავლებელს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მღვდელი
იროიდონ ნანაბოვი

## საისტორიო მასალა

თთვესა იანვარსა ზ, წამება წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა ქალაქსა ტფილისს კელითა სარკინოზთაჲთა. გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი, ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა*).

«მე სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი იოვანეს საბანის ძესა სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკკლესიისასა და საყუარელსა ჩვენსა ლოცვით უფლისა მიერ გიკითხავ. მშვიდობაჲ იყავნ შენზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ. ჩვენ თვით უწყით წადიერებაჲ შენი ღუთის მსახურებისათვის და ღუთივ მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთა წიგნთაჲ და გულს მოდგინებაჲ შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწებაჲ შენი. შენ თვით უწყი სანატრელისა ამის ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა აჲათ ჩვენთა იმარტვლა მეოხად ქრისტეს მიმართ ყოველისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათჳს. მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტჳლობაჲ, ვითარცა პირველთა მათ ქრისტეს მოწამეთა, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა. ამისთვისცა მოვავლინე წიგნი ეს ჩემი კელითა ხსართან მღჳდელისა ჩემისათა. აწ მიიღე წიგნი ესე ჩემი და ლოცვაჲ ჩვენი და ჯუარისა დაწერაჲ კელითა ჩემითა და შეწევნითა ღუთისა მამისა ძისა და სულისა წმიდისაჲთა მეოხებითა წმიდისა ღუთის მშობელისათა და წმიდათა მოციქულთათა და მოწამეთათა კელ ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი და აღწერე მარტვილობაჲ წმ. მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩვენ მოგვძღუანე, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის. მადლი უფლისა იყავნ შენ ზედა ამინ.

საკითხავი პასუხი წიგნისაჲ (გრამატისა) იოვანეს მიერ.

მარადის საწადელი და თაყუანის საცემელი ბრძანებაჲ ღუთივ პატიოსნისა მამფლისაჲ და უფლისა ჩემისა კელითა სიწმიდის მოყუარისა სანთან მღუდელისაჲთა, რომლისათვისცა აპყრობითა კელთა ჩემთაჲთა მადლი შეწირა უღირსებამან ჩემმან ყოვლად ძლიერისა და ქველის მოქმედისა ქრისტეს ღუთისა ჩვენისა, რომელმან არა დაივიწყებულ ყო სამღაბლე ესე ჩემი ღუთის შეწყნარებულთა წმიდათა ლოცვათა შენთა, რომელსა ესე ღირს ვიქმენ მიმთხუევად.

და უვროს ლა ვაქებ და ვაკურთხევ მოწყალებასა ღუთისასა, რომელმან დაჰნერგა გულსა მამფლისასა ესე ვითარისა ამისთვის ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სულისა და სიქადულ და სიხარულ კორცთა მექმნების საუკუნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას. აწ რაჲ მოვახსენო უფლებასა თქუენსა, მძიმე არს ჩემდა ორ კერძოვე: უკეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს—„შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცეს“; და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვის: „უდარესსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო“**). ამისთვის შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შემძრწუნა გონებაჲ ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან. არამედ უმჯობესად შევრაცხე მორჩილ ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლ[illegible]სა ჩემისასა.

რომლით კუალად განვძლიერდი და აღვემართე ღუთისა სათნოჲთა წმიდითა ლოცვითა თქვენისა და მარადის მძლუნის მიმპყრობელისა ღუთისა მარჯუენისა თქუენისა ჯვარისა წერითა ჩემ ულირსსა ზედ და რამეთუ ვისწავეცა ბრძენთ მთავრისა მის სოლომონის მიერ თქმული, ვითარმედ—„ჰბაძევდ ჭიანჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავსი მისა, ვითარცა იგი მან თჳსსა უდიდესსა მარტჳალსა მას იმჭლისასა შემა უვეის გულ-მოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თჳსა“**)

მეცა გულ მოდგინე ვიქმენ უძლიერესსა ჩემსა აღებად და წადიერებაჲ გულისაჲ ჩემისაჲ აღავსო უფალმან და აღვწერე ულირსისა გონებისა ჩემისა შეკრებული მარტვლობაჲ ჭეშმარიტი და უტყუველი წმიდისა მოწამისაჲ. მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰაბოჲსითა და მიგიძღუანე უფალსა ჩემსა, რომლისათვის კუალად ვითხოვ ვედრებით სათნო ყავნ უფალმან გულსა თქუენსა და გულსა ყოვლისა ქრისტეს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ, რათა ზიარ ლოცვათა თქვენთა იქმნეს კუალა და მერმეცა ულირსებაჲ ჩემი.

*) ამ სათაურით წმ. მოწამის აბოს ცხოვრება და მოწამეობა ჩართულია სვანეთიდამ ჩამოტანილს 1849 წ. წმ. მამათ მოძღვრებათა ტყავზედ ნაწერს „კრებულში“. წმ. აბოს ცხოვრება და მოწამეობა ცოტა შეცვლით არის დაბეჭდილი „საქართველოს სამოთხეში“. ჩვენთვის ეს ცხოვრება და მოწამეობა წმ. აბოსი იმდენად არ არის საინტერესო, როგორც გრამოტა სამოელ კათალიკოზისა და პასუხი მღვდლის იოანე საბანის ძისა, რომელნიც მოგვყავს აქ სიტყვა-სიტყვად ამოწერილი ხსენებულის „კრებულიდამ“. ეს „კრებული“ დაწერილია მე X—XI საუკუნეში მშვენიერის ხუცურის ასომთავრულით; დღემდე დაცული იყო ტფილისის სასულიერო სემენარიის წიგნთსაცავში და ეხლა გადატანილია საეკკლესიო მუზეუმში. ამავე „კრებულში“ ჩართულია მთავარ-ეპისკოპოზის იოანე ბოლნელის სიტყვა-ქადაგება, რომელსაც თავის დროზედ დავბეჭდავთ. იოანე ბოლნელი იყო მთარგმნელი დიდის კურთხევანისა.

**) ამაზედ მეტი საბუთი აღარ არის საჭირო, რომ ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილი ნათარგმნი იყო ქართულს ენაზედ ეფთვიმესა და გიორგისზე გაცილებით ადრე. ეს გრამოტა და პასუხი დაწერილია 890—891 წლებში.

# უცხოეთი

ინგლისი. ინგლისში არსებობს კლუბი, რომელსაც ოთხმოცის კა-

---

ჯეა თუ სიხარულს გულგრილად უყურებს, თითქოს არც-კი ამჩნევდესო.

რომ მეცნიერებას მიჰმართა,—აქაც ვერ მიიღო ისეთი პასუხი, რომ სრულიად დაკმაყოფილებულიყო.

დარჩა მარტოდ-მარტო, თავის ფიქრებით, ტანჯულის სულით. ძნელია „მარტოობა სულისა“. ეს მარტოობა უწამლავს და უშხამავს სიცოცხლეს, ყმაწვილობას.

არ იცის, თავი როგორ დაახწიოს ამ მარტოობას. შინ გული არ უდგება, სცდილობს როგორმე თავი გაირთოს. დღე და ღამეს თითქმის სულ ქუჩაში, თეატრებსა და რესტორანებში ატარებს დროს.

ამ გვარ დროს გატარებას ცხოვრებას უწოდებს. ვითომ რატომ არ შეიძლება ცხოვრება დაუძახოს. განა სხვებიც ასობით და ათასობით ასე არ ატარებენ ცხოვრებას. ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანური ცხოვრება ასეთი ცხოვრებაა. მე რაღად ჩამოვრჩე მაშ, მე რითი ვარ სხვაზე ნაკლები. მეც ვჩანვარ რაღმე იმათ თვალში.

მაგრამ, ცხადია, ასეთი ცხოვრება დიდის ხნობით ვერ დააკმაყოფილებდა ისეთს კაცს, როგორიც რო იყო, რომელიც ყველაფერს უკვირდებოდა, ჭკუით განიკითხავდა, გამჭრიახ თვალწინ გაიტარებდა ხოლმე.

და აი როდესაც დაკვირვების თვალით შეჰხედა ამ ცხოვრებას, მალე მიჰხვდა, რომ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო, რომ ასეთი ცხოვრება წყურვილს ვერ მოუკლავს იმ გულს და ჭკუას, რომელიც ყოველთვის საზრდოს ეძიებს.

რა ფასი აქვს ასეთს ცხოვრებას? არაფერი. მაგრამ უკეთესი-კი მოიპოვება? თუ არა, მაშ ღირს, რომ ადამიანმა იცხოვროს მხოლოდ თავისა და სხვის მოსატყუებლად? არა, ასეთს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, ყოფნას—არ ყოფნა.

განა ჩვენი სიცოცხლე სისულელე არ არის? ძვირფასად მიგვაჩნდა, მაგრამ იმაზედ მეტი-კი არა ღირს, რაც ერთ გროშიანი ტყვია, რომელიც უცბად მოსპობს ხოლმე ჩვენს სიცოცხლეს.

**

დიაღ, მარტოობით დატანჯულს როს არა ერთხელ მოჰსვლია აზრად თავის მოკვლა...

მაგრამ აკი უცბად მოუხდა ამ დროს ცოლის შერთვა. ეს გარემოება ერთ ხანად სრულიად სცვლის ამ კაცსა, თუმცა თითონაც ვერ გამოურკვევია ცხადად, რა მოუვიდა და ან რისთვის შეირთა ცოლი.

არც სიყვარულით შეურთავს ამ კაცს ცოლი, თუმცა მევობრობით, პატივისცემითა და მოწიწებით-კი ეპყრობოდა თავისს ცოლს.

ეს ცოლ-ქმრობა, ვიმეორებთ, არ იყო სიყვარულით გამოწვეული. ისეთ კაცსა, როგორიც ჩვენი ავტორია, სიყვარული არ შეუძლიან; კაცი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, რომელიც ყოველ გრძნობას ჭკუაში გაატარებს ხოლმე,—ის კაცი სიყვარულისათვის არ არის დაბადებული. სიყვარული, როგორც სარწმუნოება, უნდა იწამოს კაცმა. თუ სჩხრეკ, ჰსინჯავ და ჰკითხულობ, რად მიყვარსო, მაშინ ის სიყვარული სიყვარული აღარ არის.

რომ შეირთო ცოლი ისე, როგორც ბევრნი სხვანი ირთავენ. ქმარი გამოცდილია, გამოჯეჯგილი ცხოვრებაში, ცოლი ჯერ სრულიად ყმაწვილი, გამოუცდელი ქალია, რომელსაც ცხოვრებისა სრულებით არაფერი გაეგება.

ქალს სწამს, სრული ნდობა აქვს ქმრისა, ამისი უმანკო გული უცოდინარობით არის ბედნიერი. ქმარი-კი ეჭვობს, არ ენდობა, არ იცის, როგორ მოიქცეს, რა გვარ იმოქმედოს თავისს ყმაწვილს ცოლზე, როგორ შეატყობინოს ამ უმანკო ქალს თავისის გულის დარდი, სულის წუხილი და ტანჯვა. უთხრას, გაუმჟღავნოს ყველაფერი ერთბაშად, ვაითუ შეაშინოს, ვაითუ უცბად მოუწამლოს მთელი სიცოცხლე. ეს ხომ დიდი ცოდვა და მიუტევებელი დანაშაულობა იქმნება. ან გამოვა რამე-კი აქედამ, მიმიხვდება ცოლი, ან მოისურვებს-კი იმის შეტყობას, რაც მე მტანჯავს?

**

ყველა ეს შიში და ფიქრი ტყუილუბრალო და უადგილო გამოდგა. ტყუილად შიშობდა ქმარი, რომ ჩემსა და ჩემს ცოლ შუა ვითომ დიდი უფსკრულიაო და ამ უფსკრულზე ხიდის გადადება ძლიერ ძნელი იქნებაო. საქმე სულ სხვა ნაირად დატრიალდა.

ჯვარის-წერის შემდეგ ცოლ-ქმარი სხვა-და-სხვა ქვეყნების სანახავად წავიდა. ცოლი სრულს ბედნიერებას ჰგრძნობდა, იმ ბედნიერებას, რომელიც შეუძლიან გამოსცადოს მხოლოდ უმანკო და უცოდველმა გულმა. ეს გული ამ მოგზაურობაში მხოლოდ სიყვარულით იყო აღსავსე და ქალს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ქმარს აწუხებდეს რამე, სხვა რაიმე დარდი აწვევს იმ დროს, როდესაც თითონ ასეთს ბედნიერებასა ჰგრძნობს.

ასეთს ბედნიერებას ყოველთვის სულის სიმშვიდეც მოსდევს,—წყნარი, ნაზი, სულისა და გულის დამატკბობი სიმშვიდე. ამ სიმშვიდემ თავისი მომხიბლავი ძალა იქონია ქმარზედაც და ეს მოუსვენარი, აშფოთებული კაცი სრულიად დაყუჩდა. აღარა ჰფიქრობდა, ჭკუას ძალას აღარ ატანდა, აღარ კითხულობდა განუწყვეტლად: რადა, რისთვის და როგორ იქნებაო.

გულმა გულს პასუხი მისცა, გულმა ჭკუა დაიმორჩილა. დაკმაყოფილებული ბუნება მიყუჩდა, მიჩუმდა. ცოლის სიყვარულმა, ალერსმა ყველა დაავიწყა ამ კაცს, დაამშვიდა, დააძინა, როგორც აკვანში ყმაწვილს დააჩუმებს და დააძინებს ხოლმე დედის ნანა.

ეხლა და მხოლოდ ეხლა პირველად იგრძნო, რომ ბედნიერია, და იგრძნო გულით და არა ჭკუით. ესე ბედნიერი დაბრუნდა შინ, და სრულიად დაავიწყდა უწინდელი ავადმყოფობა, როდესაც მოუსვენრად კითხულობდა, რისთვის ვცხოვრობ ამ ქვეყნად და ღირს, რომ ვიცხოვროვო.

ეხლა ამავებს აღარ კითხულობს. ჰგრძნობს, ჰხედავს, რომ ცოლს მიეჩვია, რომ ცოლმა ბედნიერება მოუტანა,—როგორ, რად, რა სახით? ამეების კითხვაში და ჩხრეკაში უწინდებურად აღარ შედის.

კაცი სრულიად გამოიცვალა. კაცმა რაღაც ბედნიერება მოიპოვა, ისეთი ბედნიერება, რომელიც წინად არა სცოდნია, არ გამოუცდია. სიცოცხლეს, რომელიც წინად სძულდა, ეხლა სულ სხვა თვალით დაუწყო ყურება, ცხოვრება შეიყვარა.

რამ გამოცვალა ეს კაცი ასე უეცრად, რამ მიანიჭა ეს ახალი ბედნიერება, რამ შეაყვარა ამ კაცს ცხოვრება? სიყვარულმა? ხომ ენახეთ, რომ ამ კაცს სიყვარული არ გამოუცდია, ცოლიც სიყვარულით არ შეურთავს? მაშ რამ? ცოლის შერთვამ და, როგორც ცოლ-ქმრობის შედეგმა, დამშვიდებულმა და მყუდრო შინაურმა ცხოვრებამ...

მაშ იქნება ცოლ-ქმრობა იყოს საგანი ცხოვრებისა? მაშ იქნება ეს აზრი ჰქონდეს სიცოცხლეს?..

ამას შემდეგს ფელეტონში დავინახავთ.

დონ-იაგო

ცის კლუბს ეძახიან. ამ კლუბში ლიბერალები არიან წევრებად და იქ ხშირად წარმოითქმის საპოლიტიკო სიტყვები. ამ დღეებშიაც სამს სახელოვანს ლიბერალს ულაპარაკნია კლუბში: ლორდ სპენსერს, რომელიც გლადსტონის მთავარ-მინისტრობის დროს ირლანდიის ვიცე-კოროლად იყო, პარნელს ირლანდიელების მეთაურს და ლორდ როზბერს, რომელიც ერთ-ერთი მინისტრი იყო გლადსტონის კაბინეტში. კრება და საპოლიტიკო ლაპარაკიც ამ კლუბში გამოიწვია პარნელის საქმემ. მკითხველებს ეხსომებათ, რა საშინელი, რა საზარელი ცილი დასწამეს პარნელს „Times“-ის პირით კონსერვატორებმა, ირლანდიის განთავისუფლების მოწინააღმდეგეებმა. «Times»-სა და პარნელს დავა ჰქონდათ. მათი საქმე ირჩეოდა საპარლამენტო კომისიის მიერ. ორი სახელოვანი ადვოკატი ვებსტერი და როსსელი, ერთი „Times“-ისა და მეორე პარნელისა, დაეჯახნენ ერთმანეთს. თითქმის მთელი ინგლისი გაიყო ორ დასად: ერთი პარნელს თანაუგრძნობდა და მეორე «Times»-სს ლიბერალები, ირლანდიელები პარნელისკენ იყვნენ, კონსერვატორებს „Times“-ის მხარე ეჭირათ. მთავრობა, რომელიც დღეს კონსერვატორებისაგან შესდგება, „Times“-ს თანაუგრძნობდა, შველოდა, ეხმარებოდა. მილიონები დახარჯა ორთავე მოთავემ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიღაც პიგოტს, ტომით ირლანდიელს, უნდა დაემტკიცებინა პარნელის დანაშაულობა მისის ნამდვილის წერილებით, რომელიც წარმოუდგინა სასამართლოს. როცა დამტკიცების დრო მოვიდა, პიგოტმა გამოაცხადა, რომ წერილები ტყუილია, მე განგებ შევადგინე და გაიქცა ისპანიაში. „Times“-ი დამარცხდა საშინლად, გამტყუნდა, გაუშავდა პირი. დამარცხდა მასთან კონსერვატორების დასიც, დღევანდელი მთავრობაც, რომელმაც საძაგელსა და საზიზღარს ცილის-წამებაში მიიღო მონაწილეობა. აი სწორედ ამ საგანზე დაიწყო ლაპარაკი 80-ის კლუბში ლორდ სპენსერმა. კლუბში იყო ამ დროს სხვათამრავალთა შორის პარნელიცა და ლორდ როზბერიცა. „ჩვენ შევიქმენითო,— დაიწყო სპენსერმა:—მოწამენი დიდად საყურადღებო საპოლიტიკო ამბებისა. რამდენისამე თვის განმავლობაში პირზე კლიტე დაგვადეს, პირი წყლით გაგვივსეს და ხმას აღარ გვაღებინებდნენ, მაშინ-როცა ის საგანი, რის გამოც დადუმებულნი უნდა ვყოფილიყავით, გულს გვიწვავდა და გვიდაგავდა. ეხლა ეს კლიტე-დუმილი აგვეხსნა (ისმის ტაშის კვრა). ეხლა შეგვიძლიან ხმა-მაღლა ვილაპარაკოთ. პირველი მოვალეობაა ჩემი და ამაში, იმედია, ბატონებო, თქვენც დამეხმარებით,-დიახ პირველი და სასიამოვნო მოვალეობა ის არის, რომ მოვეულოცოთ გამარჯვება იმ კაცს, რომელსაც ამდენს ხანს, ასე საჯაროდ საზიზღარს ცილსა სწამებდნენ და თავსა სჭრიდნენ (ისმის გრიალი ტაშისა). დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ დიდი ამბით მიიღეთ დღეს პარნელი, რომელიც აგერ ჩემ გვერდით ზის. პარნელი ეხლა წმინდაა ქვეყნის წინაშე, პარნელი გამართლდა იმ საშინელისა და საზიზღარის ბრალდებისაგან, რომელსაც ისეთის გულ-ქვაობით, ისეთის უნამუსობით ახვევდნენ თავს უდანაშაულო კაცსა, პატიოსანს მოღვაწესა. ვიცი, რომ ყველა კეთილ-გონიერნი კაცნი, რომელსაც-კი ეზიზღება მის საწინააღმდეგოდ მიმართული იარაღი უნამუსო ცილის-წამებისა, პატივის ცემით უცქერიან ეხლა ამ კაცსა და უკვირთ კიდეც, როგორის სიმშვიდით, მოთმინებით აიტანა იმდენს ხანს შიშინი ბოროტის ენისა. გიკვირთ და ამბობთ, რომ ეგ სიმშვიდე, ეგ ღირსებით აღსავსე ქცევა, ეგ დათმენა სწორედ პარნელისთანა დიდის კაცის ხვედრიაო. ახლა რა ვსთქვათ პარნელის წინააღმდეგი? ისეთის სალანძღავის სიტყვის მოძებნაც-კი ძნელია, რომლის ღირსნი არიან ამ კაცის სახელის გატეხის მსურველნი. ჩვენ-კი არა გვჯეროდა წინადვე მისი დანაშაულობა და გვიხარიან, რომ პარნელის გამარჯვებამ ჩვენც გამარჯვება მოგვცა. ეხლა ჩვენი ვალი ის არის, რომ პარნელი დაჯილდოვებულ იქმნას იმ დიდის უსიამოვნებისათვის, რომელიც მას შესძლნეს. ამ საქმეს დიდი შედეგი მოჰყვება. ჩვენ ჯერ ვერც-კი მივხვდებით კარგად, რა დიდსა და სასიამოვნო ნაყოფს გამოიღებს ეს გამარჯვება. როცა დრო გავა, დავთარში უნდა ჩავწეროთ იმათ სახელები, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ საზიზღარს საქმეში. მე მგონია, რომ ლიბერალების ვალია, გამოვარკვიოთ რამდენად ურევია ამ საქმეში თვით მთავრობაცა. ჩვენ შევიძლებთ დავამტკიცოთ, რომ მთავრობა მხარს უჭერდა „Times“-ს და მოწადინებული იყო სახელი გაეტეხნა როგორც პარნელისათვის, ისე ირლანდიის საქმისათვისაც. ერთი უნდა გავიგოთ, ირლანდიის პოლიციის აგენტები რად დაძვრებოდნენ ისე მრავლად სასამართლოში? ვინც უფრო გამოცდილი და დახელოვნებული მოხელეა დანაშაულობის აღმოჩენაში, რაღა სწორედ ისინი მიდიოდნენ და უმოწმებდნენ „Times“-სს? ამას გარდა, როგორ მოხდა, რომ „Times“-ის ხელში აღმოჩნდა ისეთი საიდუმლო საბუთები და ქაღალდები, რომელიც მთავრობის წარმომადგენელის მეტს არავის არ უნდა სცოდნოდა? ცხადია, რომ გაზეთსა და მთავრობას შუა საიდუმლო მომხრეობა და კავშირი არსებობდა... ერთის სიტყვით, მთავრობა ვერ დაიხსნის თავს ამ საქმიდამ, წმინდა არ არის დავაში. აი ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და თუ არ გვინდა სიმხდალე და ლაჩრობა გვიკიჟინონ, უნდა გამოვამჟღავნოთ უღირსი მოქმედება მთავრობისა. ბოლოს სპენსერმა ირლანდიის დღევანდელს მდგომარეობაზე ილაპარაკა და სთქვა, რომ ირლანდიის თვით-მმართველობა მალე გაიმარჯვებს ასეთის საქმის შემდეგაო.

პარნელმა მოკლედ უპასუხა ლორდ სპენსერს. ამისთანა კაცის აზრებს მნიშვნელობა აქვსო და დიდადაც ვაფასებო, სთქვა პარნელმა. უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე ათასის ბალფურისთანა მეტიჩრების ლაპარაკსაო. ასეთნი მეტიჩარანი დღეს აქ არიან, ხვალ გაჰქრებიან. ამათ არც აზრი, არც გონება არა აქვთ ქვეყნის მართვისათვის, ცხოვრობდნენ მხოლოდ თავიანთ თავისა და თავიანთ დასისათვის და კიდევ იმიტომ, რომ ცოტა უფრო დიდხანს გვქონდეს ხელში ქვეყნის განგების ნებაო. ორი გზაა ირლანდიის მართვისა: ერთი ის არის, რომ მისცეთ პოლიტიკური თავისუფლება, ხოლო მეორე—კონსტიტუციის გარეშეა. შეიძლება ისეთის წესითაც განაგოთ ირლანდია, რომ ეწინააღმდეგოთ იქ უწესოებასა და თან ლენდ-ლორდებიც შეჰლაგმოთ. ასეც შეიძლებოდა მართვა ამ ქვეყნისა რამდენსამე ხანს, ვიდრე თავისუფლება მიენიჭებოდა ირლანდიას. თავისუფლების მინიჭება-კი აუცილებელი საქმეა. ბოლოსა და ბოლოს დროს იქ ისეთი გამგეობა იყო, რომ ერი მიეჩვია პარლამენტობას, შეიყვარა კანონიერება, კონსტიტუცია. თქვენ თითონ მიაჩვიეთ ეგ ერი ასეთს გზაზე სიარულს. თქვენ თითონ შეაყვარეთ ის დიდებული აზრები თავისუფლებისა, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქმნას კანონისა და კონსტიტუციის ნიადაგზე, ის აზრები და პრინციპები თითონ თქვენც, დიდებულო ერო ინგლისისავ, იმედია ძალას დაგატანთ ადრე თუ გვიან შეიწყნაროთ ჩვენი მცირე სურვილი, ჩვენი მცირე ინტერესები. იმედია, დიდებული ერი შეიწყნარებს, რომ პატარა ერსაც აქვს ნება იცხოვროს სამშობლო ქვეყანაში, თავად განაგოს იგი ქვეყანა, განავითაროს, გაადლიეროს მისი ძალ-ღონე. ეს ისეთი ნებაა, რომ, რასაკვირველია, თქვენ არაფერი დაგაკლდებათ, რომ მოგვანიჭოთ ჩვენ, ჩვენს საცოდავს ირლანდიასაო.

კრება კლუბში იმითი გათავდა, რომ სიტყვა წარმოსთქვა ლორდ როზბერიმაც და საშინლად გაჰკიცხა ძალ-მომრეობის პოლიტიკა დღევანდელის მთავრობისა ირლანდიაში.

## წვრილი ამბები

### ებრაული წარმოდგენები

ამას წინად „Fantaisies-Parisiennes“-ში დაიწყეს ებრაულის წარმოდგენების მართვა. ებრაულის დასის რეპერტუარი შედგენილია პიესებიდგან ვიღაც ჰოლდფადენისა, რომელიც ებრაელთა შორის ნიჭიერ დრამატიულ მწერლად ითვლება. ახალგაზრდობაში ჰოლდფადენი თითონვე უფროსობდა თურმე ებრაულს დასს და წარმოდგენებს ჰმართავდა რუმინიასა, ბესარაბიასა და აგრეთვე რუსეთსა და პოლშაში. ამ წარმოდგენებზედ უმეტესად ებრაელობა ესწრებოდა, რასაკვირველია. ამის გამო თეატრის დარბაზს განსაკუთრებული შეხედულობა ჰქონდა, იქ იყვნენ თავმოყრილნი ყველა წოდებისა და ჯურის ხალხნი, ღარიბნი, ღატაკნი, ხელ-მოკლენი.

ასეთივე სიღარიბეა სცენაზედ; ისეთი უსუფთაობა და ბინძურობა ჰსუფევს, რომ ძნელად თუ სხვაგან სადმე იყოს, თვით ფიცრით აგებულ ხუხულებშიაც-კი, თუმცა-კი არტისტები ნიჭს არ არიან მოკლებულნი.

პირველად წარმოადგინეს პიესა „რაში“. სოლომონ რაში გამოჩენილი რაბინია, საფრანგეთში დაბადებულა 1040 წელს და გარდაცვლილა 1105 წ. სახელი „რაში“ შედგენილია შემდეგის სიტყვებიდგან „Rabbi Schelumon Ishak“. ებრაელთა თქმულობა ამბობს, რომ ეს რაბინი ფრიად განათლებული და ნასწავლი კაცი ყოფილა. კარგად იცოდა თურმე ღვთის-მეტყველება, ლინგვისტიკა, ფილოსოფია, სამკურნალო მეცნიერება და ვარსკვლავთ-მრიცხველობა თავისის დროისა. რაშის გადაწერილი აქვს ევროპისა და აზიის საუკეთესო წიგნთ-საცავები, დაუბეჭდავს ტალმუდი შენიშვნებითა და განმარტებითურთ. ამ წიგნს ესლაც დიდად აფასებენ ებრაელნი, რადგან მეტად ბუნდად არის ნაწერი და ბუნდოვანობა წერისა ხომ დიდის ჭკუით და ცოდნით აიხსნება ხოლმე.

აი შინაარსი პიესა „რაში“-სა. ფარდის ახდის დროს თქვენ თვალ-წინა სდგას რაბინი სოლომონი შეგირდებითურთ, რომელთაც ღვთის-მეტყველებას უხსნის და ასწავლის. შეგირდები უვლიან სტოლსა და ჰიმნსა ჰმღერიან. ამ დროს ქუჩიდგან ჯვარის-კაცები შემოვარდებიან და განდევნიან ებრაელებს. რაბინი თავისის ქალით და საყვარელ შეგირდითურთ ფანჯრიდგან გაიპარება და ასე დაიხსნის თავს. მეორე სურათში რაში, იმისი ქალიშვილი სარა და შეგირდი მაიენის ტყეში დახეტიალობენ. ამ მოხეტიალეთ ეძებენ ჯვარის-კაცნი, რომელთაც ჰმეთაურობს გენერალი როლფი, საჯულის მოძულე ებრაელი. როლფი სარგებლობს საფრანგეთის მეფის რამუნდის სხვაგან ყოფნით და ებრაელებსა სდევნის. ამ კაცს განსაკუთრებით რაბინი სოლომონი სძულს და უნდა როგორმე ხელში ჩაიგდოს იმისი ოქროები და ქალი შვილი. ამაოდ უვარდება ფეხ-ქვეშ რაბინი და ემუდარება:

— ჩემი არ არის, მოხარებულია ის ოქრო, რომელსაც შენა მთხოვო.

როლფი არ უგონებს, არ უჯერებს და კინწის კვრით გაისტუმრებს.

აგერ წარმოგვიდგა როლფის ციხე-დარბაზი. ჯვარის-კაცნი ნადიმობენ და ლხინობენ. იქვე სკამზედ ზის თვალ-ცრემლიანი სარა. ახალგაზრდა ჩვიდმეტის წლის არტისტი-ქალი, რომელიც სარას თამაშობს, მაყიდსონი რუსის ებრაელია. სარას როლში ეს მოთამაშე შეუდარებელია და ნამდვილად გამოჰხატავს დაბადებაში აღწერილს ტიპს ებრაელის ქალისას, რომელიც ბაბილონის მდინარეზე დასტირის და იგლოვს სიონის ტანჯვა-მწუხარებას.

ამ დროს სცენაზედ შემოდის მესტვირე და ჯვარის-კაცთ სიმღერას ეუბნება. ეს მესტვირე სარას მამის საყვარელი შეგირდია და მესტვირულად ჩაუცვამს, რათა როგორმე დაიხსნას სატრფო სარა, ვიდრე უპატიოსნო როლფი დაჰჭმართობდეს რასმე.

— სარა, ეუბნება ყმაწვილი კაცი: ამაღამ შენის ოთახის ფანჯარა გააღე და განთავისუფლებულ იქმნები.

სარას თვალები უბრწყინდება და ცისკენ აღმართავს... ერთი ჯვარის-კაცთაგანი მივა მწუხარე და სევდიან ქალთან და ტლანქად დაუწყებს არშიყს, თან ეღლაბუცება და ლაზღანდარად იცინის და სასაცილო-სამარცხვინო ამბებს უამბობს.

დადგება ღამე, მესტვირე მიიტანს თოკის კიბეს და სარას მამასვე დაუბრუნებს.

როლფი გაცოფებულია. დაუძახებს თავისთანავე უპატიოსნო იაკობს და ეტყვის, რომ ეხლავე მიშოვნე თავი ურცხვის მესტვირესი და სარაც აქ მომიყვანეო. ამ უბრალო საქმისთვის ჯილდოდ 20,000 მანათს ჰპირდება. თუმცა იაკობი გაქრისტიანებული ებრაელია, ებრაული ფეული სიყვარული მაინც კიდევ შერჩენილი აქვს და თანხმდება. მაგრამ შემდეგ მოკვლას ადამიანისას ვერა ჰბედავს და უნდა როგორმე გაატყუოს როლფი. რამდენისამე ბოთლის ღვინით იაკობი შეაცდენს მოხუცს ჯვარის-კაცს როლფის მოსატყუებლად. ეს ჯვარის-კაცი როლფის მიუტანს ერთს ომში მოკლულის ჯვარის-კაცის თავს, მესტვირეს თავის მაგიერ და სარას ადგილას—უბრალო ზებრუცანას მიუყვანს. ადვილად წარმოსადგენია როლფის გაბრაზება. ეშმაკი იაკობი არწმუნებს, რომ რაბინმა რაღაც თვალთ-მაქცობით გადააქცია თავისი ქალი სარა აგრე ზებრუცუნად, ეგ ჯადო რამდენსამე დღეზედვე გაუვლის და ისევ ის სარა შეიქმნებაო.

ამ აღელვებასა და ორომტრიალში საბრალო რაში მოიქანცება და გარდაიცვლება სიხარულით, რაკი გაიგებს, რომ ჩემი ქალი და საყვარელი შეგირდი განთავისუფლებულნიო. უკანასკნელს სურათში სცენაზედ სამგლოვიარო ლიტანიას გამოდის, რაბინის გვამი მიაქვსთ დასამარხავად. კუბოსს უკან სამგლოვიარო გალობა მოისმის და მშვენიერი სარა ამ მწუხარებით სასოწარკვეთილი ხელებს იმტვრევს და დაწვებს იავრის.

ეს ახირებული პიესა იმითი თავდება, რომ უეცრად სცენაზედ გამოდის საფრანგეთის მეფე რეიმუნდი, ომიდგან ახლად დაბრუნებული. რეიმუნდი დიდად სწუხს დიდებულის რაბინის სიკვდილს. ამ ნაცნებს მეფეს ლიუდოვიკ XIV ტანისამოსი აცვია და მეტად ლიბერალურს აზრებს წარმოსთქვამს ხალხთა ძმობაზედ. თავისს დამსკვნელის სიტყვის დროს სხვათა შორის ამბობს, რომ „ვინც ებრაელს ევრობა ბოროტად, ის ქრისტიანესაც ავნებს და ბოროტებას უზამსო“.

## დეპეშა

9 მარტი

პეტერბურგი. სამშაბათს მათნი უდიდებულესობანი, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა მემკვიდრე ცესარევიჩით და უავგუსტოესის ყმაწვილებითურთ წარბძანდნენ გატჩინოს.

ოდესა. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზის საზოგადოება შეუდგა ელევატორის აშენებას. ეს ელევატორი ეღირება 350,000 მანეთი.

ბუდა-პეშტი. გუშინ-წინ, პალატის სხდომის შემდეგ, ერთმა სტუდენტმა დეპუტატს ივანკოს „მამელიუკი“ დაუძახა. ივანკო 70 წლის მოხუცებული კაცია. დეპუტატს რაგონჩის სტუდენტისთვის ხელი უნდა ეკრა, მაგრამ სტუდენტმა დაასწრო და სილა გაარტყა. მაშინ რაგონჩიმ რევოლვერი ამოიღო, ესროლა სტუდენტს და ფეხში დასჭრა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქში. გუშინ ამის გამო რამდენიმე მანიფესტაცია და პოლიციასთან შეტაკებაც მოხდა. პარლამენტის წინ შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი. სტვენით და ყვირილით მიეგება ტისსას და იძახდნენ: „ტისსა არ გვინდაო“. პარლამენტის კომისიას ამ საქმის გამოძიება დაავალეს. დიდი სამხედრო მზადებაა. ამბობენ, რომ ტისსას მდგომარეობა ძალიან შერყეული არის და რომ იმპერატორი ამ კვირას პეშტიდგან წავაო.

სევასტოპოლი. არხიმანდრიტი პაისი ამბობს, რომ აშინოვის უბედურების მიზეზი იტალიელები-კი არ არიან, არამედ ისა, რომ საფრანგეთის სამღვდელოებამ ობოკში ორი მონასტერი დაარსა. კათოლიკეთა ბერები ცუდად მიეგებნენ აშინოვის ექსპედიციას და იმას სცდილობდნენ, რომ ხელი შეეშალათ. აშინოვს მეტი იარაღი მოსთხოვეს, მაშინ-როდესაც მეტიკი არა, საჭირო იარაღიც არა ჰქონ-

დათ. აშინოვმა უთხრა საფრანგეთის მთავრობას, რომ იარაღი არა მაქვსო, მაგრამ მთავრობამ ბრძანა, რომ მალე წადით აქედგანაო, რადგანაც საღალოს ციხე საფრანგეთის მიწა-წყალზე არის აშენებულიო. ეს ტყუილიაო, ამბობს პაისი. საფრანგეთი სცდილობდა როგორმე დაეპყრო ეს ადგილი, მაგრამ ტაჯურის სულთანმა აშინოვს დაუთმო. პაისი ამბობს, რომ მე ამის დამტკიცებაც შემიძლიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაზე ლაპარაკი ადრეაო. საფრანგეთის მთავრობას არ შეუტყობინებია აშინოვისათვის, რომ თუ ქინიცობაა იარაღს არ დაჰყრი, თოფს გესვრითო. პირველად ღამე გაისროლეს, როცა ყველას ეძინაო.

**ჩარჯუი.** უკანასკნელის ცნობებით, აბდურახმან-ხანი მაზარ ი-შერიფში და არაფერს აპირობს ჯერ-ჯერობით. ჰოლამ-ხაიდერს წყალობით აღარ ეპყრობა ემირი და ეჭვი აქვს, ესეც ხომ არ ერია იმ შეთქმულობაში, რომლის დროსაც ჩემი მოკვლა უნდოდა 2 იანვარსაო.

**ოდესა.** დღეს ყველა აშინოვთან მყოფნი, რომელთაც უარი განაცხადეს სამშობლოში წასვლაზე თავისის ხარჯით, ეტაპით იქმნენ გაგზავნილნი ოდესიდგან თავ-თავის საცხოვრებელს ადგილას.

**ბუდა-პეშტი.** გუშინ, ტისას დაბრუნების დროს, სახლში დახურულის ეტლით პარლამენტის კრებიდგან, მდაბიო და მუშა ხალხი ქვებს ისროდა ეტლში. ტისას არა დაშავებია რა. შუადღის შემდეგ საზარელი ამბავი მოხდა საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში, ასე რომ სისხლიც-კი დაიქცა. საღამო ხანზედ დაბარებულმა დიდ-ძალმა ჯარმა განფანტა ქუჩებში თავ-მოყრილი ხალხი. ამ საქმეს ხელს უმართავდა აგრეთვე შხაპუნა წვიმაც. იმპერატორი და იმპერატრიცა დიდად უკმაყოფილონი არიან ხალხის ქუჩებში თავ-მოყრითა და შეუსაბამო საქციელით.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მარტი

| | მუდამ ჰყიდულობენ (მან. კ.) | | მუდამ ჰყიდულობენ (მან. კ.) | | მუდამ ჰყიდულობენ (მან. კ.) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 1 | 48 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 274¾ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 246½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწადამდე. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

11 დღე შაბათი. წმ. შორის მამის სოფრომისა, იერუსალიმის პატრიარქისა. კათოლ. წმ. პელაგიასი. მაჰმად. მე-21 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 5—58, ჩადის 6—16. მთვარე 22 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| **ჯვარის მამის პურის ლავაში** | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ი | ლ | ი | | დ | ი | ლ | ი |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | **სამტრედია**. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 02 | 1 | 17 | **რიონი** . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | **ყვირილა**. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი**. | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს | ა | ღ | ა მ ო თ ი |
| | ს ა ღ | ა მ | ო თ | ი | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

### ტფილისსა და სურამს შუა

| | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ | ღ ი | ს ი | თ | | ღ | ა | მ ი | თ |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ | ა მ | ო თ | ი | | დ | ი | ლ ი | თ |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად.

საუკეთესო ღონისძიებაა

მთელის ქვეყნის მირო-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას




ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—16)

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| | მან. | კაპ. |
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |

რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.



არყის ხის ბალზამი დ—რის

ლენგილიასი,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ გაურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რაიმე ნივთიერებანი, პირ-იქით, ცდილობენ იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰლირს 1 მან. 65 კაპ.; **ბესზოს საპონი** ჰლირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; **იზო-პომადი** (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰლირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

**ტფილისს:** სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—9)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაუთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შეუცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

Дов. ценз. Тифлисъ 10-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე